საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გადაწყვეტილება № 07-01/24

ქ. ბათუმი **20 აპრილი, 2022 წ.**

,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 09 ივლისის N07-01/16 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-10, 62^2 -62^4-ე მუხლების, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დებულებების დამტკიცების შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N7, N8, N9 გადაწყვეტილებების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა *და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე*“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 15 აპრილის N395840 სამსახურებრივი ბარათის და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 09 ივლისის N07-01/16 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, N1 დანართში (წესის) **მე-3 პუნქტის 3.2. ქვეპუნქტის 3.2.2. ნაწილი და 3.3. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,3.2.2. ბ2 კატეგორიის შრომითი დატვირთვისათვის (ვისაც ამავდროულად უკავია ბსუ-ს ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა) - ბსუ-ს საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობრივ სარგოზე 200 ლარით ნაკლებით (გავრცელდეს 2022 წლის 1 მაისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე).

3.3. ,,გ“ კატეგორიის შრომითი დატვირთვის მქონე პერსონალისათვის - ბსუ-ს საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობრივ სარგოზე 200 ლარით

ნაკლებით (ვრცელდება 2019 წლის 11 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე).

2. წინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ბსუ-ს რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, საჭიროების შემთხვევაში, გამოსცეს შესაბამისი სამართლებრივი აქტები.
3. გადაწყვეტილება გამოქვყენდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად მომზადებული კოდიფიცირებული წესი გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“).
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დავით ბარათაშვილი**